ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ

(საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2019 წლის სექტემბრიდან დღემდე საქმიანობას)

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია საქმიანობისას ხელმძღვანელობს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საბიუჯეტო კოდექსით, საკრებულოს რეგლამენტითა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებით.

კომისიის შემადგენლობაში დღეის მდგომარეობით გაწევრიანებულია 17 დეპუტატი.

კომისიის თავმჯდომარეა- ვარლამ ჭიპაშვილი.

კომისიის მდივანია- ლენა აბაშიძე.

კომისიის წევრები: ლენა აბაშიძე, იუზა კელენჯერიძე, პაატა გოგოლაძე ,გივი თავზარაშვილი, აკაკი ლურსმანაშვილი, მიხეილ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, გივი თხელიძე, დავით კიკნაძე, მალხაზ ფხალაძე, ნონა ზურაბიანი, ქეთევან ზუმბაძე, ვახტანგ ტალახაძე, ვლადიმერ ტალახაძე, პავლე კიკალიშვილი და მარინე ხვედელიძე.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია გეგმიურად და ბიუროს დავალებისამებრ განიხილავს ყველა იმ საფინანსო-სამართლებრივი აქტის პროექტს, რომელსაც საკრებულოშია ინიცირებული.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განიხილა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტი, შეიმუშავა საბიუჯეტო შენიშვნები, რომელთა გათვალისწინების თხოვნითაც მიმართა მუნიციპალიტეტის მერიას. ინფრასტრუქტურული და სოციალური ხარჯების გაზრდა იყო ჩვენი უპირველესი მოთხოვნა, რაც შეძლებისდაგვარად იქნა გათვალისწინებული ბიუჯეტის შედგენა-დამტკიცებისას, ანუ მუნიციპალიტეტის მერიამ ბიუჯეტის პროექტის

შესწორებულ ვარიანტში ასახა რამდენიმე საკითხი, რომელიც კომისიის მიერ იყო გააქტიურებული. უნდა აღნინიშნოს, რომ კომისიის ჩართულობით ბიუჯეტის პროგრამულობის მხრივ 2020 წლის ბიუჯეტში გარკვეული პროგრესი გვაქვს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განიხილა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიში და შესაბამისი რეკომენდაციები ასახა კომისიის დასკვნაში. კომისიამ უკმაყოფილება გამოთქვა საბიუჯეტო სახსრების ათვისების დაბალი მაჩვენებლების გამო და მუნიციპალურ სამსახურებს მიემართა დროულად განეხორციელებინათ ყველა კანონიერი ღონისძიება საბიუჯეტო სახსრების ათვისების მიზნით. ამასთანავე, სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციის შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ანგარიშში მოვითხოვეთ ასახულიყო მუნიციპალური აიპების წლიური ანგარიშები.

ჩვენ მოვისმინეთ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შპს-ეს ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რის შემდგომაც გაკეთდა შეფასება რომ მუნიციპალური შპს ვერ უზრუნველყოფს მომგებიან საქმიანობას, სათანადოდ ვერ ახერხებს მუნიციპალური ტექნიკის მოვლა-პატრონობას და აუცილებლად მივიჩნიეთ აღნიშნული ორგანიზაციის არსებული ფორმით ფუნქციონირების მიზანშეწონილობის საკითხის გადახედვა.

ჩვენმა კომისიამ მოისმინა ინფორმაციები თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის სამი და ექვსი თვის (კვარტლური) ბიუჯეტის შესრულების შედეგების შესახებ, რის შემდგომაც წერილობით მივმართეთ მუნიციპალიტეტის მერიას კომისიის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნების გაცნობისა და გათვალისწინების წინადადებით. კომისიის წევრთა უკმაყოფილება ძირითადად გამოწვეული იყო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული ხარჯების აუთვისებლობის გამო, რაც შედეგობრივად იწვევდა ინფრასტრუქტურული პროექტების დაუსრულებლობასა და მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას.

კომისია გაეცნო სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციებს და აქტიური მონაწილეობა მიიღო სამართლებრივი აქტების მომზადებაში, რომელთა

შემუშავებაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეკომენდაციების ნაწილში ეხებოდა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ საანგარიშო პერიოდში განიხილა საბიუჯეტო ცვლილების ყველა პროექტი, რომელიც საკრებულოში მერიის მხრიდან იყო წარმოდგენილი და საკრებულოს სხდომებზე გამოვიდა თანამომხსენებლად.

კომისიის წევრები ჩართული ვიყავით პანდემიით გამოწვეული პრობლემების გადაჭრის მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგის პროცესში, რის შემდგომაც კომისიის წევრებმა ერთსულოვნად მოვითხოვეთ მოქალაქეთა ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამის დაფინანსების გაზრდა. ჩვენი წინადადების შესაბამისად, მერიამ ფინანსური შესაძლებლობის ფარგლებში საკითხი დადებითად გადაჭრა.

კომისიის წევრები ვესწრებოდით მუნიციპალიტეტის სოფლებში გამართულ საერთო კრებებს, სადაც მოსახლეობის გადაწყვეტილებით შეირჩა პრიორიტეტები და გადანაწილდა დაფინანსებები სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.

ჩვენ მოვითხოვეთ ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურისგან მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაციის პროცესის დაჩქარება. სამწუხაროდ, მერიამ დღემდე ვერ მოახერხა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაციის ჩატარება, რაც საკრებულოში - მერიის შესაბამისი სამსახურის ანგარიშის უარყოფითად შეაფასების ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

ჩვენ გამოვითხოვეთ უფლებამოსილების ფარგლებში მოახდინა მუნიციპალური ააიპ-ებისა და მერიის სტრუქტურული ერთეულების აუდიტური შემოწმების დასკვნები. სამწუხაროდ, პანდემიიდან გამომდინარე რამდენიმე გეგმიური საკითხის განხილვა გაჭიანურდა, რადგან განხილვების პროცესში აქტიური ჩართულობისა და

საჯაროობის უზრუნველყოფა სხდომების ონლაინ რეჟიმში ჩატარებისას ვერ ხერხდება.

კომისიაზე დეტალურად მოვისმინეთ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაცემული თანხების შესახებ და მერიას მივეცით რეკომენდაცია ,რომ მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსება გაიცეს მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ და დასაბუთებულ შემთხვევებში.

კომისიის წევრთა უმრავლესობამ უარყოფითად შევაფასეთ მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მუშაობა, რადგან ბიუჯეტის შეუსრულებლობისა და ბიუჯეტიდან გაცემული ავანსების მიზნობრიობის დაკარგვის ნაწილში გარკვეულ პასუხისმგებლობას აღნიშნულ სამსახურთან მიმართებაშიც დავინახეთ. ვიმედოვნებთ, რომ მდგომარეობა გამოსწორდება.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია თანამშრომლობს საკრებულოს თავმჯდომარესთან, ფრაქციებთან და კომისიებთან.

კომისიის ორგანიზაციულ-ტექნიკურ საკითხებს აგვარებს საკრებულოს აპარატი.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობენ ოპოზიციონერი დეპუტატები, რომელთა კონსტრუქციული ჩართულობით მიიღება გადაწყვეტილებები. აღსანიშნავია ,რომ ქვორუმის არ არსებობის გამო ჩანიშნული სხდომა არასოდეს ჩაშლილა.

კომისია მომავალში ვგეგმავთ გავააქტიუროთ საქმიანობა, რომელიც მეტად შედეგიანი და ეფექტური იქნება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია